N 58 23/02/2018

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი 3

დ. ჩოხატაური **9 თებერვალი, 2018 წელი**

სხდომის თავმჯდომარე-ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

სხდომას ესწრებოდნენ: დავით ბერძენიშვილი, ქეთევან სიხარულიძე, ზვიად წეროძე, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, გიორგი რამიშვილი, ნატო ჩანტლაძე, ერეკლე უღრელიძე, გივი თავაძე, უშანგი ართმელაძე, ენვერი ახალაძე, ბესიკ ყენია, შოთა ჩხიკვაძე,დავით გუდავაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, იაშა შათირიშვილი, კლოდი მდინარაძე, ზვიადი მამალაძე, კობა კალანდაძე, ბექა გამდლიშვილი, მანანა მინდაძე, მარინე ბერაძე, დავით შარაშიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, მაია გიორგაძე, ალექსანდრე ყაჭეიშვილი, ლია ჩიგოგიძე, მაია კუტუბიძე, ირაკლი ახობაძე.

არ ესწრებოდა: ლევან ლომინეიშვილი, ალექსანდრე შარაშიძე, შალვა ჩანტლაძე, მინდია დოლიძე, მამია ბარამიძე, გოჩა მეგრელიშვილი.

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

თეა უჯმაჯურიძე- ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი- საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

მაია გოგოლაძე- საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი- საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

ზაზა სიხარულიძე- გარემოს დაცვისა და მშენებლობის სანებართვო პირობების მონიტორინგის განყოფილების უფროსი- საჯარო დაწესებულების II სტრუქტურული ერთეულის უფროსი.

ვალერი ყაჭეიშვილი- ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი.

მერაბ ხუნდაძე- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი.

ლია ჩხიკვაძე- ჩოხატაურსა და ლანჩხუთში მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ფრაქციის ,,პატრიოტთა ალიანსი“ რეგისტრაციის შესახებ.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ”- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 თებერვლის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისთვის გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ.

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს აპარატში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით მისაღებ პირთა რაოდენობის დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ.

7. ,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

8. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმაროსთვის“ (ს/კ - 441994843) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 ერთეული მოძრავი ქონების (,,FORD TOURNEO 100”; გამოშვების წელი – 1996; ძარა – უნომრო; ძრავა – უნომრო; საიდენტიფიკაციო ნომერი – WFOFXXGBVFTE88350; სარეგისტრაციო ნომერი – GFG519) 1წლის ვადით სარგებლობის უფლების ფორმით (თხოვება)გადაცემის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

<u>**აზრი გამოთქვა:**</u> მარინე ბერაძემ, ვლადიმერ სიხარულიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 32

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 32 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ფრაქციის ,,პატრიოტთა ალიანსი“ რეგისტრაციის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ”- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის

განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 თებერვლის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მერაბი ხუნდაძე

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისთვის გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი:ზაზა სიხარულიძე

6. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს აპარატში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით მისაღებ პირთა რაოდენობის დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ“.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

7. ,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

8. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმაროსთვის“ (ს/კ - 441994843) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 ერთეული მოძრავი ქონების (,,FORD TOURNEO 100”; გამოშვების წელი – 1996; ძარა – უნომრო; ძრავა – უნომრო; საიდენტიფიკაციო ნომერი – WFOFXXGBVFTE88350; სარეგისტრაციო ნომერი – GFG519) 1წლის ვადით სარგებლობის უფლების ფორმით (თხოვება)გადაცემის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხსენებელი: ლაშა თოლორდავა

I საკითხი: ფრაქციის ,,პატრიოტთა ალიანსი“ რეგისტრაციის შესახებ.

მოისმინეს:

ფრაქციის ,,პატრიოტთა ალიანსი“ რეგისტრაციის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> გოჩა ჯიქიამ, შოთა ჩხიკვაძემ.

მიღებულია განკარგულება: ცნობად იქნა მიღებული ფრაქციის ,,პატრიოტთა ალიანსი“ რეგისტრაციის შესახებ.

II საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ”- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ”- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> აკაკი ყაჭეშვილმა, რომელმაც საკრებულოს შესთავაზა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წინადადება თანამდებობრივ სარგოებთან დაკავშირებით, კერძოდ:

უცვლელი რჩება საკრებულოს თავმჯდომარისა და მერის შრომითი ანაზღაურება და მათი ხელფასი იქნება ისევ 2650 ლარი, რაც შეეხება დანარჩენებს - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - 2100 ლარი, კომისიის თავმჯდომარე - 1700 ლარი, ფრაქციის თავმჯდომარე - 1700 ლარი, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე - 1250 ლარი.

I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი - 1600 ლარი, II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, განყოფილების უფროსი - 1200 ლარი, III რანგი პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 800 ლარი.

მერის პირველი მოადგილე - 2100 ლარი, მერის მოადგილე - 1800 ლარი, სამსახურის უფროსი - საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, I რანგი - 1600 ლარი, განყოფილების უფროსი - საჯარო დაწესებულების

II სტრუქტურული ერთეულის უფროსი, II რანგი - 1200 ლარი, I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, III რანგი - 800 ლარი, I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის საკითხებში, IV რანგი - 700 ლარი, I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, III რანგი - 990 ლარი.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, I რანგი - 1350 ლარი, განყოფილების უფროსი საჯარო დაწესებულების II სტრუქტურული ერთეულის უფროსი, II რანგი - 950 ლარი, I კატეგორიის უფროსი სპეცილისტი, III რანგი - 650 ლარი.

ზაალ მამალაძე- შემოსულია ალტერნატიული ვარიანტი. გადავწყვიტოთ რომელ ვარიანტს ვუყაროთ კენჭი წარმოდგენილს თუ საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის მიერ შემოთავაზებულ ალტერნატიულ ვარიანტს.

ლია ჩიგოგიძემ აღნიშნა, რომ სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ხელმძღვანელს აქვს 1350 ლარი ხელფასი. მერიის სხვა სამსახურის უფროსებს გაცილებით მეტი. რით აიხსნება ეს სხვაობა?

მაია გოგოლაძე- სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ხელფასი ფინანსდება დელეგირებული უფლებამოსილების თანხით და ამ ეტაპზე ვერ მოხდება მატება ხელფასის, რადგან მიზნობრივი ტრანსფერი არ ითვალისწინებს.

ირაკლი ახობაძე- მცირე მატებას გამოიწვევდა ბიუჯეტში მათი ხელფასების ზრდა. სასურველი იქნებოდა გვეფიქრა ამ თემაზეც.

მანანა მინდაძე- უხერხულად მიმაჩნია, როცა თანამდებობრივი სარგოების მატება ეხება ყველას, საკრებულოს თავმჯდომარის და მერის ხელფასი კი რჩება უცვლელი. კარგი იქნებოდა გაზრდილიყო ხელფასი, თუნდაც მცირედით, რომ ამით გამოგვეხატა პატივისცემა.

გოჩა ჯიქიამ აღნიშნა, რომ დეპუტატთა უმრავლესობა დარჩენილია თანამდებობის გარეშე. გვეძლევა უფლებამოსილების შესასრულებლად თანხები. თუ საკრებულოს თავმჯდომარის ხელფასის გაზრდაზე ვიფიქრებდით, მაშინ ამით უფლებამოსილების შესრულების თანხა მცირედით მაინც გაიზრდებოდა. მაქვს წინადადება და ჩემი უფლებაცაა, როგორც საკრებულოს წევრს, დავსვა ეს საკითხი სხდომაზე განსახილველად.

ზაალ მამალაძე- ალტერნატიული ვარიანტის წარმოდგენის მიზეზი იყო ის, რომ რეგიონში ყოფილიყო ერთნაირი ხელფასი. რაც შეეხება უფლებამოსილების თანხის გაზრდას, რაც საკრებულოს თავმჯდომარის ხელფასის მატებაზეა დამოკიდებული, გეტყვით, რომ საკრებულოს თავმჯდომარეს არ უნდა მოემატოს ხელფასი ამ ეტაპზე. იმედი მაქვს თქვენი მხარდაჭერის.

ირაკლი ახობაძე- მივესალმები, რომ ალტერნატიული ვარიანტი არის განხილვის თემა, დაზუსტება მინდა უბრალოდ, რომ საჯარო სამსახურებში, საკრებულოს აპარატში და მერიაში სახელფასო ფონდს რა ხვედრითი წილი უჭირავს. ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 56-ე მუხლის თანახმად, აქვს გარკვეული შეზღუდვები.

მაია გოგოლაძემ უპასუხა: 25 %- ზე მეტი არ უნდა იყოს. ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით არის 24 %.

ირაკლი ახობაძე-,,შრომის ანაზღაურების შესახებ“ კანონის მიხედვით მტკიცდება თანამდებობრივი სარგოები. თავი IX, 34-ე მუხლის მე- 3 პუნქტის ვალდებულებებია: 2019-2020 წლებში ამ კანონით დადგენილი წესით საჯარო დაწესებულებაში დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების ფონდი 2018 წელთან შედარებით შეიძლება გაიზარდოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით,მხოლოდ შესაბამისი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის განხილვის პროცესში.

  გამომდინარეც აქედან, ხომ არ გავდივართ კანონის ჩარჩოებიდან. 75 ლარის ხელფასის გულისთვის ნუ დავარღვევთ კანონს.

თეა უჯმაჯურიძე- მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, არ გავდივართ კანონის ჩარჩოებიდან.

ზაალ მამალაძემ კენჭისყრაზე დააყენა საფინანსო- საბიუჯეტო კომისიის მიერ წარმოდგენილი ალტერნატიული ვარიანტი

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _29

წინააღმდეგი _ 3

(ი.ახობაძე, მ.კუტუბიძე, ლ.ჩიგოგიძე)

(კენჭისყრას ესწრებოდა 32 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

III საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

აზრი გამოთქვა: ირაკლი ახობაძემ, რომელიც დაინტერესდა ხომ არ ირღვევა სახელმწიფო ბიუჯეტის მოთხოვნების 155-ე მუხლის მე-3 პუნქტი ამ მიმართულებაში.

მაია გოგოლაძე: არ ირღვევა მოთხოვნები.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 32

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 32 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N53 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

IV საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 თებერვლის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

<u>აზრი გამოთქვა:</u> ზაალ მამალაძემ აღნიშნა, რომ თქვენი თანხმობით, ახალი ფრაქციის შექმნის შემდეგ საშტატო ნუსხაში აისახოს ფრაქცია ,,პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარე და მოადგილე, რომ შემდგომ ცალკე იგივე პროცედურის გავლა არ დაგვჭირდეს და ხელი არ შეგვეშალოს ხელფასის გაცემაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 32

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 32 წევრი)

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 თებერვლის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მერაბი ხუნდაძე

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 32

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 32 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 თებერვლის №9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

V საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისთვის გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისთვის გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი:ზაზა სიხარულიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ზვიადი მამალაძემ, აკაკი ყაჭეიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 32

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 32 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისთვის გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ.

VI საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს აპარატში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით მისაღებ პირთა რაოდენობის დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ“.

<u>აზრი გამოთქვა:</u> ზაალ მამალაძემ აღნიშნა: იურიდიულად რომ იყოს გამართული, ჩემი ინიციატივაა ხელშეკრულებით ასაყვან თანამშრომლებს შორის იქნას გათვალისწინებული მძღოლებიც, რომლებიც ა(ა)ი.პ. კომუნალურ სამსახურში ,,სხივში“ არიან გაფორმებულები.

ლია ჩიგოგიძემ აღნიშნა, რომ ხომ არაა შესაძლებელი, დამლაგებლებიც რომ აყვანილი იქნას ხელშეკრულებით.

ზაალ მამალაძე- რაოდენობრივად ბევრია დამლაგებლები და ამ ეტაპზე შეუძლებელია მათი გადმოყვანა.

შევჯერდეთ ამჯერად მძღოლების გადმოყვანაზე და განვსაზღვროთ 18 %.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 32

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 32 წევრი)

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს აპარატში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით მისაღებ პირთა რაოდენობის დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ“.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 32

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 32 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიასა და საკრებულოს აპარატში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით შრომითი ხელშეკრულებით მისაღებ პირთა რაოდენობის დადგენილი შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შესახებ“.

VII საკითხი: ,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ შარშან, ნაბეღლავში სხვა სოფელთან შედარებით მიწა გაიყიდა იაფად. გამოდის, რომ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე მიწა უფრო იაფად გაიყიდა, ვიდრე სხვაგან. სასურველია, დარეგულირდეს მიწის ფასი ასეთი სტრატეგიული ადგილებისთვის, რომ ასე იაფად აღარ გაიყიდოს. თუ შეიძლება შევცვალოთ ერთეულის ღირებულება და სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ადგილებზე მიწას უფრო მაღალი ფასი დავადგინოთ.

ვალერი ყაჭეიშვილი- მიწის გაყიდვისას, ნორმატიული ფასი შეიძლება იყოს გათვალისწინებული, მაგრამ არის შემთხვევები, როცა ნაკლებ ფასად იყიდება. ჩვენ ვადგენთ მიწის საწყის ფასს და აუდიტი ადგენს ფასს.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 32 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

VIII საკითხი: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმაროსთვის“ (ს/კ - 441994843) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 ერთეული მოძრავი ქონების (,,FORD TOURNEO 100”; გამოშვების წელი – 1996; ძარა – უნომრო; ძრავა – უნომრო; საიდენტიფიკაციო ნომერი – WFOFXXGBVFTE88350; სარეგისტრაციო ნომერი – GFG519) 1წლის ვადით სარგებლობის უფლების ფორმით (თხოვება)გადაცემის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

მოისმინეს:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმაროსთვის“ (ს/კ - 441994843) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 ერთეული მოძრავი ქონების (,,FORD TOURNEO 100”; გამოშვების წელი – 1996; ძარა – უნომრო; ძრავა – უნომრო; საიდენტიფიკაციო ნომერი – WFOFXXGBVFTE88350; სარეგისტრაციო ნომერი – GFG519) 1წლის ვადით სარგებლობის უფლების ფორმით (თხოვება)გადაცემის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაზემ, ზვიადი მამალაძემ, ლია ჩიგოგიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 32

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 32 წევრი)

მიღებულია განკარგულება: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ა.(ა).ი.პ. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმაროსთვის“ (ს/კ - 441994843) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 ერთეული მოძრავი ქონების (,,FORD TOURNEO 100”; გამოშვების წელი – 1996; ძარა – უნომრო; ძრავა – უნომრო; საიდენტიფიკაციო ნომერი – WFOFXXGBVFTE88350; სარეგისტრაციო ნომერი – GFG519) 1წლის ვადით სარგებლობის უფლების ფორმით (თხოვება)გადაცემის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა